ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 124

ქალაქი ბათუმი 22 ივლისი 2022 წელი

ერთი მხრივ, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის ჯემალ სურმანიძის სახით და მეორე მხრივ, **სს ,,აჭარკამშენი"** (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ნინო კახიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და **SMP220002062** (2022 წლის 20 ივლისის N2384 განკარგულება) თანხმობის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;
1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;
1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2022 წლის ქვეპროგრამით - ,,საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება'', გათვალისწინებული სსიპ ქალაქ ბათუმის N15 საჯარო სკოლის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება 2.2. პუნქტის შესაბამისად (CPV-71242000).
2.2. კორექტირება უნდა შეეხოს სპორტდარბაზის კორპუსს და ნაცვლად ერთ სართულიანი შენობისა, უნდა დაპროექტდეს სამ სართულიანი შენობა. უნდა შემცირდეს შენობის გაბარიტები, პირველ სართულზე განთავსდეს სპორტდარბაზის და სხვა დამხმარე სათავსები, ხოლო მეორე სართულზე ძირითადად საკლასო ოთახები (სასურველია არანაკლებ 12 საკლასო ოთახი, ზომებით 45-50 კვ.მ.). შენობა უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირთათვის. კორექტირების გათვალისწინებით უნდა მომზადდეს პროექტი ყველა საჭირო დოკუმენტაციით, რაც საჭიროა ნებართვის გამცემ ორგანოსთან ცვლილების შესათანხმებლად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ

მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების გაწევის ვადაა 2022 წლის 25 ივლისიდან 25 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.
4.2. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის იურიდიულ მისამართზე.
4.4. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლები არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.
4.5. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.6. თუ მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე, ადგენს აქტს წუნდებული მომსახურების შესახებ დადგენილი წესის შესაბამისად.
4.7. შემსყიდველი ვალდებულია, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული მომსახურების რაოდენობა და წუნდების მიზეზი და წუნდების გამოსწორებისა და აღმოფხვრის ვადა. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღების შემდეგ, შემსყიდველი მიერ მითითებულ ვადაში უზრუნველყოს წუნდების და მისი მიზეზების სრულად აღმოფხვრა და გასწორებული/დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდველთან.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები, საავანსო ანგარიშსწორება

5.1. მიმწოდებელთან საბოლოო ან/და შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.
5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება საბოლოო ან/და შუალედური ანგარიშსწორების სახით, ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სათანადო წესის შესაბამისად საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენიდან (საჭიროების შემთხვევაში) 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
5.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. გარანტია

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს.
6.2. 6.1. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
6.3. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშავებასა და შედგენაზე.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების დროს საჭირო გახდება პროექტში ცვლილებების შეტანა ან/და აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამატებითი ანაზღაურების გარეშე შედგენას/შედგენის ხარჯების ანაზღაურებას მიმწოდებელი იღებს თავის თავზე.
6.5. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატურად.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა ინსპექტირების ჯგუფის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 (ნული მთელი ორი მეასედი) პროცენტის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.7. და 7.4. მუხლებით შესაბამისად, შემსყიდველი მიერ განსაზღვრული წუნდების აღმოფხვრის ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 (ნული მთელი ორი მეასედი) პროცენტის ოდენობით.
8.4. წინამდებარე ხელშეკრულების 11.1 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშკერულების საერთო ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
9.3. თუ მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

9.4. 9.3. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას;
ბ) თუ არსებობს კონკრეტული საფრთხე იმისა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.2. მშენებლობა/რეაბილიტაციის განხორციელების დროს იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების წარმოების პროცესში აუცილებელი გახდება საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანა ან/და გაჩნდება პროექტთან (მის განხორციელებასთან) დაკავშირებით კითხვა, პროექტის ავტორი/მომწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 7

(შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა დასმულ (პრობლემურ) საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით წარმოადგინოს საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შესატანი ცვლილებების გათვალისწინებით. აღნიშნულს მიმწოდებელი/პროექტის ავტორი განახორციელებს რაიმე დამატებითი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე.

13.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით დაურეგულირებელი საკითხები წესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

13.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელექტრონული წერილის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.6. ხელშეკრულება ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონული ფორმით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქუჩა N4
ს/კ 245 427 667

მიმწოდებელი:
სს „აჭარკაპმშენი“

საქართველო, ქალაქი ბათუმი
გრიბოედოვის ქ. N2-ა
ს/კ 245 423 778
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
მფო BAGAGE22
ა/ა GE89 BG00 0000 0121 3594 00

მინისტრის პირველი მოადგილე
ჯემალ სურმანიძე

Jemal Surmanidze 61005001449
Digitally signed by Jemal Surmanidze
Date: 2022.07.22 15:14:46

დირექტორი
ნინო კახიანი

Nino Kakhiani 61003008428
Digitally signed by Nino Kakhiani
Date: 2022.07.22 15:57:38